ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქეთევან მჭედლიშვილი

უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციები საქართველოში

სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო დურგლიშვილი-
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი,2018

ანოტაცია

განათლება არის და მომავალშიც იქნება ყველაზე მყარი კაპიტალი, რომელსაც ადამიანი ფლობს და რომლის გამოყენებაც უსასრულოდაა შესაძლებელი. მას სასიცოცხლო ფუნქცია გააჩნია ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების როგორც მაკრო (საზოგადოების), ისე მიკრო (ინდივიდის) დონეზე. უმაღლესი განათლების მიღება ადამიანისთვის არის კულტურული და სოციალური, შესაბამისად, ფინანსური კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობა. სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება ყოველი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს.

კვლევის - „უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციები საქართველოში“ მიზანია უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივაციების შესწავლა. კვლევის ამოცანებს წარმოადგენს: უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივაციების, მათზე ზეგავლენის მქონე არსებითი ფაქტორების, აგრეთვე უმაღლესი განათლების მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული მოლოდინების გამოვლენა და ანალიზი.

პირველ ეტაპზე განხორციელდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული თეორიების მიმოხილვა; განათლების ეკონომიკური და სოციალური ეფექტის შესახებ არსებული თეორიების განხილვა, ბურდიეს სოციალური და კულტურული კაპიტალის თეორიების, ასევე ფილიპ კარეს თეორიული მოდელის (ზრდასრულთა განათლების მიღების მოტივაციების შესახებ) ანალიზი.

შემდეგ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა. კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა აბიტურიენტები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

კვლევის ძირითადი მიგნებების მიხედვით, უმაღლესი განათლების მიღების ძირითად მოტივაციებს წარმოადგენს: სოციალური ინერცია, პროფესიული თვითგამორკვევა, დასაქმება, დიპლომი, პიროვნული ზრდა, სწავლა ცოდნისთვის, სტუდენტობის გამოცდილების შეძენა. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ინერცია უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივაციური დესკრიპტორია: უმაღლესში ჩაბარებას მოტივაციურად ამყარებს, ასტიმულირებს მშობლის მოთხოვნა, თანატოლების ქცევა ან სტუდენტობის გამოცდილების შეძენის სურვილი. ცოდნის მიღება და წარმატებულ

კარიერაზე ორიენტაცია ჯერჯერობით უფრო იმპლიციტური ფაქტორის როლს ასრულებს და ნაკლებად არის გამოკვეთილი.

Annotation

Nowadays and in the future education will be the most solid capital that the person owns and the use of which is infinite. It has a vital role in the development of the country and society on a macro (community) and micro (individual) level.For a human being, getting higher education is cultural and social, therefore, represents the ability to accumulate financial capital. Implementation of the proper educational policy is an important obligation for each state.

The purpose of a research "Motivation of Getting Higher Education in Georgia" is to study the main motivations for getting higher education. The objective of the research is to identify and analyze expectations related to the main motivations for getting higher education, the influencing substantial factors and revealing and analyzing of expectations that are related to the higher education.

At the first stage, the study of the theories related to the research issue was conducted; Reviewing existing theories about economic and social effects of education as well as analysis of Social and Cultural capital theories of Bourdieu and Theoretic Model of Philip Kare (on adult motivations of getting education).

At the next stage, qualitative and quantitative research was conducted. The target groups of research were school-leavers, students and graduates.

It can be said that social inertia is a major motivational descriptor for getting higher education: it motivationally strengthens the will to enter the higher university, stimulates parental demand, behavior of mates or desire to acquire student experience. Getting knowledge and orientation on successful career is still a more implicit factor and such role is less obvious.

According to the main findings of the research, the main motivations for getting higher education are: social inertia, professional self-determination, employment, diploma, personal growth, learning for knowledge, and student experience.

It can be said that social inertia is a major motivational descriptor for getting higher education: it motivationally strengthens the will to enter the higher university, stimulates parental

demand, behavior of mates or desire to acquire student experience. Getting knowledge and orientation on successful career is still a more implicit factor and such role is less obvious.

სარჩევი

ანოტაცია 2
1. შესავალი 7
1.1 საკვლევი საკითხის აქტუალობა 7
1.2 კვლევის მეთოდოლოგია 9
2. თეორიული მიმოხილვა 11
2.1 უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციები საქართველოში 11
2.2 ფილიპ კარეს თეორიული მოდელი 18
3. კვლევის ძირითადი მიგნებები 21
4. თვისებრივი კვლევის ანგარიში 23
4.1 უმაღლესი განათლების სტერეოტიპი და სოციალური ინერცია 23
4.2 პროფესიული თვითგამორკვევა 27
4.3 დასაქმება 28
4.4 დიპლომი 30
4.5 პიროვნული განვითარება 31
4.6 სწავლა ცოდნისათვის 32
4.7 სტუდენტობის გამოცდილების შეძენა 33
5. რაოდენობრივი კვლევის შედეგები 35
5.1 უმაღლესში სწავლის მოლოდინი და პრაქტიკა 35
5.2 უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციები აბიტურიენტებში 36
5.3 აბიტურიენტთა მოლოდინები უმაღლესი განათლების მიმართ 38
6. დასკვნა 42
7. ბიბლიოგრაფია 44

1. შესავალი

1.1 საკვლევი საკითხის აქტუალობა

უმაღლესი განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების მაკრო (საზოგადოების) და მიკრო (ინდივიდის) დონეზე. იგი ადამიანური კაპიტალის აკუმულირების მძლავრი საშუალებაა. რომელიც, თავის მხრივ, ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გარანტიას იძლევა. შესაბამისად, მოქნილი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა და დანერგვა, მასში ინვესტიციების განხორციელება ყოველი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაა.

დღეს მასობრივი ეკონომიკური პრობლემებისა და სამუშაო ადგილების ნაკლებობის გამო უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ პირდაპირი ფინანსური სარგებლის მიღების ალბათობა ძალიან დაბალია, მაგრამ უმაღლესი განათლების მიღების მსურველების პროცენტული წილი - მაღალი. როგორც ამას სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა (2016წ.-41702, 2017წ.-41240) აღემატება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა ოდენობას (2016წ.- 38808, 2017წ.- 39529). როგორც ჩანს, არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციებზე. იმის მიუხედავად, რომ უმაღლეს განათლებაში ჩადებული საინვესტიციო რესურსები არ იძლევა მატერიალური კეთილდღეობის გარანტიას, იზრდება უმაღლეს განათლებაში ინვესტირების ტენდენცია, რომელიც შეიძლება აიხსნას უმაღლესი განათლების კავშირით სოციალურ და კულტურულ ფაქტორებთან. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საგულისხმოა სოციალური და კულტურული კაპიტალის მნიშვნელობა (Bourdieu and Passeron,1990; Habibov,2015).

საქართველოში ისტორიულად ცოდნისა და უნარ-ჩვევების კომპეტენციები ითვლება ძალიან მნიშვნელოვან ღირებულებად (Sadzaglishvili,Scharf,Kalandadze,2017). ამასთანავე,

ფინანსური კაპიტალის არსებობის თვალსაზრისით შესაძლებელია, რომ უმაღლესი განათლება აღიქმება ერთადერთ სიმდიდრედ, რომელსაც ღარიბ ქვეყნებში ოჯახის უმეტესობამ შეიძლება მისცეს შვილებს (Dobbins, Khachatryan,2015).

საუნივერსიტეტო გარემო და უმაღლესი განათლების მიღება შესაძლოა განვიხილოთ ინდივიდისთვის სოციალური და კულტურული კაპიტალის, შესაბამისად, ფინანსური კაპიტალის აგრეგაციის ძირითად წყაროდ. ამრიგად, საინტერესოა, იმ ფაქტორების იდენტიფიცირება და კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენენ უმაღლესი განათლების მიღების გადაწყვეტილებაზე.

1.2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივაციების შესწავლა.

კვლევის ამოცანები

1. უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივაციების გამოვლენა.
2. იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციაზე.
3. უმაღლესი განათლების მიმართ დამოკიდებულებასათან დაკავშირებული მოლოდინების იდენტიფიცირება.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები

თვისებრივი კვლევა ჩატარდა ფოკუს- ჯგუფის მეთოდის გამოყენებით

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და მაგისტრანტები.

თითოეული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა იყო 10-12 მონაწილე.

თითო ფოკუს-ჯგუფის ხანგრძლივობა 60 წუთს გრძელდებოდა.

თვისებრივი კვლევის ანალიზი განხორციელდა შემდეგი ეტაპების მიხედვით: კოდირება, დახარისხება/კატეგორიზება, შეჯამება და მონაცემთა ერთმანეთთან დაკავშირება.

პირველ რიგში მოვხდა მიღებული მონაცემების კოდირება, რაც გულისხმობს რესპონდენტთა ნარატივების თემატურად დაკავშირებას კონცეპტებთან.

შემდეგ ეტაპზე - კოდირებული მონაცემების დახარისხება, კატეგორიზება. უფრო კონკრეტულად კი ცალკეულ ფაილებში საკვლევი თემების მიხედვით ინფორმაციების თავმოყრა. კოდირება და კატეგორიზება გაკეთდა თვისებრივი კვლევისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამის Nvivo-ს მეშვეობით.

მესამე ეტაპზე განხორციელდა თითოეული თემის შეჯამება და მათი ინტერპრეტაცია.

მეოთხე ეტაპზე გაკეთდა შეჯამების შედეგად მიღებული მონაცემების ურთიერთდაკავშირება.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ჩატარდა პირისპირი გამოკითხვა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 50 აბიტურიენტი. მიღებული მონაცემები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით - IBM SPSS Statistics 21. პროგრამის საშუალებით მოხდა მონაცემთა გაწმენდა, დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი.

შერჩევა: შემთხვევითი შერჩევა

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის გეოგრაფიულ არეალს წარმოადგენდა თბილისი

კვლევის შეზღუდვები: დროისა და რესურსების სიმცირიდან გამომდინარე, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა ჩატარდა მხოლოდ თბილისის მასშტაბით.

2. თეორიული მიმოხილვა

2.1 უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციები საქართველოში

უმაღლესი განათლება, თავისი ისტორიული ელიტარული ბუნებიდან და პრესტიჟიდან გამომდინარე, თითქმის ყველა საზოგადოებაში მაღალმოთხოვნადი იყო საუკუნეების განმავლობაში. მისი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მკაცრად იზღუდებოდა. საბჭოთა კავშირის კრიზისის პერიოდში უმაღლესი განათლების სისტემაში აშკარა დეგრადაცია დაიწყო; გაიზარდა კორუფცია, აკადემიური ოლიგარქია თითქმის თვითნებურად განკარგავდა ისეთ პროცესებს, როგორიცაა უნივერსიტეტში სტუდენტების ჩარიცხვა და შეფასება. თავისუფალი ბაზრის წახალისებამ შესაძლო გახადა მასებისთვის უმაღლესი განათლების მიღება.

პოსტ-საბჭოთა სივრცეში უმაღლესი განათლების სფეროს მასიფიკაციისა და მარკეტიზაციის პროცესი ბევრად გააქტიურდა და კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული 2003 წლამდე საქართველოში გაჩნდა 200-ზე მეტი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება გადასახადების დივერსიფიცირებული ოდენობითა და, ხშირ შემთხვევაში, გაცემული დიპლომებისთვის სრულიად შეუსაბამო სასწავლო პროგრამებითა და სწავლების ხარისხით. საქართველოში უმაღლესი განათლების განსაკუთრებული პრესტიჟულობიდან გამომდინარე, ეკონომიკური კრიზისის პერიოდშიც კი საზოგადოების მხრიდან მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე აქტუალური დარჩა. უფრო მეტიც, სახელმწიფო დაფინანსების სიმწირის პერიოდში გაჩნდა უშუალოდ მომხმარებლის მიერ უმაღლესი განათლების მისაღებად ინვესტიციის ჩადების პერსპექტივა. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მზად იყო უკანასკნელი დანაზოგი ჩაედო უმაღლეს განათლებაში; შესაბამისად, უნივერსიტეტებისა და კურსდამთავრებულების რაოდენობა უკიდურესად გაიზარდა, რაც სამწუხაროდ გამორიცხავდა ცოდნის ხარისხის ცნებას (სამნიაშვილი, 2017.გვ23-25).

2003 წლიდან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები გახდა ერთგვარი დასაბამი განათლების სფეროს რეგულირებისა. შეიქმნა აკრედიტაციის, როგორც ხარისხის კონტროლის მექანიზმი, რომლის ფუნქციონირებამ

უნივერსიტეტების რიცხვი 75-მდე შეამცირა (საქართველოს მთავრობის დადგენილება. №533, 2017 წლის 7 დეკემბერი, ქ.თბილისი.განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის 2017-2021 სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ); აბიტურიენტების უნივერსიტეტებში მიღება (რომელიც უწინ უნივერსიტეტების პრეროგატივა იყო) და სახელმწიფო გრანტის მინიჭება დაეფუძნა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს, რამაც შეამცირა სისტემაში კორუფციის დონე. თუმცა, უმაღლესი განათლების მიღება საქართველოში ისევ მოთხოვნადია და კვლავაც მნიშვნელოვანი ღირებულების სტატუსს ინარჩუნებს, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. ამას მოწმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა. ბოლო 5 წლის განმავლობაში, თითქმის, სრული ოდენობით ხდება მოსწავლეთა გადინება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა განაწილება დამამთავრებელი კლასების მიხედვით და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობა 2005-2017წწ.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური,2018.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი,2018.

დღეს უმაღლესი განათლების ინტეგრაცია საბაზრო პრინციპებით მართულ სისტემებში საქართველოში საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს, რასაც სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევა - განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში, ადასტურებს. აღნიშნული კვლევა ეხება განათლებასა და დასაქმებას შორის კავშირს და მოიცავს სამ ძირითად საკითხს: განათლების ინდივიდუალური ამონაგები (ფინანსური სარგებელი), განათლების შესაბამისობა დასაქმების ბაზართან და შრომითი კმაყოფილება. აღნიშნული კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ დაუსაქმებელი რესპონდენტების 31%-მა უმაღლესი განათლება თანამედროვე, ბოლონიის სისტემაში მიიღო, მაგრამ მაინც უარყოფითად აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, რაც, გარკვეულწილად, ადასტურებს საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის უუნარობას, მოამზადოს თანამედროვე, კონკურენტული და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი კვალიფიციური კადრები, რომლებიც სათანადო კომპეტენციებსა და უნარებს ფლობენ. საინტერესოა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩატარებული 2014 წლის კვლევის ანგარიში, რომელიც ეხება უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში მათი ჩართულობის კვლევას. ამ შემთხვევაშიც კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს და იგივე აზრს ავითარებს უმაღლესი განათლების შინაარსის ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობის შესახებ. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იძულებულები არიან მოერგონ თანამედროვე მოთხოვნებს და უზრუნველყონ დასაქმების ბაზრისთვის ადეკვატური და კომპეტენტური სპეციალისტების შეთავაზება. სამომხმარებლო ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყანაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ცოდნის კომერციალიზაცია.

ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში უმაღლესი განათლება მსოფლიო განვითარებისა და კონკურენციის მამოძრავებელი სისტემაა - იგი განიხილება, როგორც „ეკონომიკის ძრავა“, რომელიც კვლევისა და ინოვაციის გზით ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნასა და სამუშაო ძალის კომპეტენციების მუდმივ განვითარებას (Sursock and Smidt.2012). განათლება სარგებლის მომტანია ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის როგორც

ეკონომიკური (შემოსავლებისა და დასაქმების მაჩვენებლების ზრდა, ადამიანური კაპიტალის განვითარება), ისე სოციალური თვალსაზრისით (სოციალური მობილობის ხელშეწყობა, სოციალური სტაბილურობისა და კეთილდღეობის მაჩვენებლების ზრდა)(Machin and McNally,2007). ამგვარად, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება და ორიენტირება მაღალტექნოლოგიზებულ საზოგადოებაში განათლების გარეშე წარმოუდგენელი გახდა. შესაბამისად, საინტერესოა იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც საფუძვლად უდევს განათლების მიღების საჭიროებას.

განათლება არის და მომავალშიც იქნება ყველაზე მყარი კაპიტალი, რომელიც ადამიანი ფლობს და რომლის გამოყენებაც უსასრულოდაა შესაძლებელი. გარდა ამისა, განათლების ეკონომიკური და სოციალური ეფექტის დისკურსში სამი ძირითადი თეორია არსებობს.

- **ადამიანური კაპიტალის თეორია** ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი სახეობაა. ამ თეორიის მიხედვით, განათლება ინვესტირების ოპტიმიზაციის რაკურსიდან განიხილება. ადამიანები განათლებას იღებენ მათ მიერ განათლებაში ჩართვის მომენტისთვის სარგებლისა და დანახარჯების შეფარდების გათვალისწინებით. განათლებამ უნდა გაზარდოს ადამიანის პროდუქტიულობა და, შესაბამისად, მისი შრომის ზღვრული შემოსავალი (Becker.1962).
- საწინააღმდეგოს ამტკიცებს ე. წ. **სიგნალის ეფექტის თეორია** (signaling effect theory), რომლის მიხედვითაც განათლების მიღების მთავარი მოტივი ადამიანისთვის საკუთარი უნარიანობის დემონსტრირებაა. ამ შემთხვევაში განათლების მიღებაზე უფრო მაღალ ღირებულებას წარმოადგენს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღება, ვიდრე მიღებული კომპეტენცია. ანუ, დიპლომის ქონა დამსაქმებლისთვის ადამიანის უნარების მაჩვენებელს წარმოადგენს, რაც მისი მაღალი შემოსავლიანობის საფუძველი ხდება. უფრო მაღალპროდუქტიული ადამიანები ირჩევენ განათლების უფრო მაღალ საფეხურებს დაბალი პროდუქტიულობის მქონე ადამიანებთან შედარებით, რაც განაპირობებს მათი ხელფასების სხვაობას (Spence 1973,1979).
- **კულტურული რეპროდუქციის თეორიის** თანახმად, განათლება ასრულებს სოციალური კლასების რეპროდუქციის ფუნქციას. გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე ინდივიდს გააჩნია მისი სოციალური კლასით განპირობებული მახასიათებლები, რაც

მას პრიორიტეტებს ანიჭებს საგანმანათლებლო სისტემაში და მის აკადემიურ წარმატებაზე აისახება(Bourdieu & Passeron, 1990).

უმაღლესი განათლების მიღება არის სოციალური და კულტურული კაპიტალის აგრეგაციის/დაგროვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ფრანგ სოციოლოგს, პიერ ბურდიეს შემოაქვს სოციოლოგიაში „კაპიტალის“ ცნება. იგი ტიპური ეკონომიკური ტერმინია. ბურდიე მას იყენებდა სოციალურ სივრცეში აგენტთა პოზიციის განსასაზღვრად მათი კაპიტალების მოცულობითა და სტრუქტურების მიხედვით. კაპიტალი შეიძლება იყოს ის რასაც ფიზიკურად ფლობ ან ის, რაც თანდაყოლილია. კაპიტალის მოცულობას, რომელიც შეიძლება ინდივიდმა დააგროვოს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მისი შესაძლო არჩევანის დონის განსაზღვრაში. სწორედ ამიტომ, ბურდიე იყენებს ტერმინს „კაპიტალი“, რომ აღნიშნოს მატერიალურიცა და სიმბოლური რესურსებიც, რომელთა განსხვავებული დაგროვება განსაზღვრავს ინდივიდის ადგილმდებარეობას სოციალურ სივრცეში. ასევე მნიშვნელოვანია ბურდიეს მტკიცება იმის შესახებ, რომ სოციალური, კულტურული ან ეკონომიკური კაპიტალის ფორმები შეიძლება დაგროვილი და გადატანილი იქნეს სიმბოლური ფორმებიდან უფრო ძალაუფლების მქონე, მატერიალური, ეკონომიკური კაპიტალის ფორმებზე (დიმიტრიადისი;კამბერლისი,2012.გვ.87).

სხვადასხვა ავტორი გვაძლევს სოციალური კაპიტალის განსხვავებულ ინტერპრეტაციას.

პიერ ბურდიეს მიხედვით: სოციალური კაპიტალი არის იმ არსებული და პოტენციური რესურსების აგრეგაცია, რომლებიც უკავშირდება ურთიერთგაგებისა და აღიარების მეტ-ნაკლებად ინსტიტუციონიზებული ურთიერთობების მდგრადი ქსელის ფლობას (Bourdieu, 1986).

ამერიკელი სოციოლოგი ჯეიმს კოლმანი თვლის, რომ სოციალური კაპიტალი განისაზღვრება მისი ფუნქციით. სოციალურ კაპიტალს იგი ახასიათებს სოციალურ სტრუქტურად, რომელიც აადვილებს ინდივიდების ქმედებებს სტრუქტურაში. კოლმანი მიიჩნევს, რომ სხვა ფორმის კაპიტალების მსგავსად, სოციალური კაპიტალიც არის პროდუქტიული - მაგალითად, ჯგუფს, სადაც არსებობს მაღალი ნდობის ხარისხი

ადამიანებს შორის შეუძლია შეასრულოს ბევრად მეტი რამ, ვიდრე ჯგუფს, რომელშიც წევრები დიდად არ ენდონიან ერთმანეთს. კოლმანი, ისევე როგორც ბურდიე, სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავს საერთო რესურსად, რომელსაც ადამიანები მიზნის მისაღწევად იყენებენ (Coleman, 1998).

პატნემის მიხედვით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოების მოწყობის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა ნდობა, ნორმები და ქსელები, რომლებიც აადვილებს თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ქცევას და ამით საზოგადოების ეფექტურობას ზრდის (Putnam, 1993).

ფრენსის ფუკუიამა სოციალურ კაპიტალს ახასიათებს, როგორც ჯგუფსა ან ორგანიზაციაში ერთად მუშაობის უნარს, რომელიც აადვილებს საერთო მიზნების მიღწევას (Fukuyama, 1995).

გამოდის, რომ სოციალური კაპიტალი არის ორმხრივად სარგებლიანი არსებული და პოტენციური რესურსები: „ერთმანეთისთვის სამსახურის გაწევა“, „ღირებულების მქონე რესურსები“ და „მიღწევები“, რომლებიც ხელმისაწვდომია ინდივიდისთვის სწორედ სოციალურ ქსელში ჩართულობის გამო (Flap& Volker,2004).

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება არის სწორედ ის გარემო, რომელიც აერთიანებს განსხვავებული შეხედულებების, გამოცდილების, დამოკიდებულებების მქონე სტუდენტებს. ინდივიდისთვის ეს გარემო არის უფრო „ფართო საზოგადოებაში“ მოხვედრისა და ახალი კავშირების დამყარების საშუალება. შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების ერთ-ერთ მთავარ მოტივად, შესაძლოა განვიხილოთ სოციალური კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობა.

პიერ ბურდიეს მიხედვით, კულტურული კაპიტალი შეიძლება გამოვლინდეს სამი ფორმით. 1). ინკორპორირებულ, ანუ გონებისა და სხეულის ხანგრძლივი დისპოზიციის ფორმით, 2). კულტურული საქონლის (სურათების, წერილების, ლექსიკონების, ინსტრუმენტების და ა.შ. ფორმით, 3). ინსტიტუციონალიზებულ ანუ ობიექტივაციის ფორმით.

კულტურული კაპიტალის აკადემიური კვალიფიკაციების ფორმით ობიექტივაცია წარმოადგენს იმის საფუძველს, რაც განასხვავებს თვითნასწავლის კაპიტალს

კულტურული კაპიტალისგან. იგი სანქცირებულია აკადემიური სახსრებით, იურიდიულად გარანტირებული კვალიფიკაციების დახმარებით, რომლებიც, თავის მხრივ, ფორმალურად დამოუკიდებელია მისი მფლობელისგან.

კულტურული კაპიტალი არის ლეგიტიმური ცოდნის სხვადასხვა სახე, რომელსაც ფლობს ესა თუ ის ინდივიდი ინსტიტუციონალური აღიარების მინიჭებით. აკადემიური კვალიფიკაცია შესაძლებელს ხდის კულტურული კაპიტალის მქონე ინდივიდების კვალიფიკაციების შედარებასა და შეცვლას, ასევე მოცემული კვალიფიკაციის მფლობელის ფასეულობის დადგენასა და გაცვლას შრომის ბაზარზე კვალიფიკაციის სხვა მფლობელთან მიმართებაში (Burdieu, 1986. გვ.243 -247).

უმაღლესი განათლება და შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის მიღება ეხმარება ადამიანს დააგროვოს კულტურული კაპიტალი ეკონომიკური კაპიტალის კონვენტირების გზით. თავის მხრივ კი, აკადემიური კვალიფიკაცია მატერიალური და სიმბოლური მოგების/სარგებლის გარანტიას იძლევა (Burdieu,1986). შესაბამისად, ინდივიდის მიერ უმაღლესი განათლების მიღების საჭიროების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაცია შესაძლოა კულტურული კაპიტალის დაგროვება იყოს.

2.2 ფილიპ კარეს თეორიული მოდელი

ფილიპ კარეს თეორიული მოდელის მიხედვით ზრდასრულთა განათლების მიღების მოტივაციები განიხილება ორი მიმართულებით:

1. პირველი მიმართულება მოიცავს ინდივიდის შინაგან (intrinsic) და გარეგან (extrinsic) მოტივაციას, რომელიც გულისხმობს ინდივიდის მოტივაციის შინაარსსა და მოტივაციის პროცესს.
2. მეორე მიმართულება დაკავშირებულია თვით სასწავლო პროცესში ინდივიდის მონაწილეობასთან.

ავტორის აზრით, მოტივაციის შინაარსის მიხედვით შესაძლოა ავხსნათ რა უდევს საფუძვლად ინდივიდების ცოდნის მიღების მიზეზებსა და მათ სასწავლო არჩევანს.

ამ მოდელის მიხედვით, ინდივიდის შინაგანი (intrinsic) მოტივაცია დაკავშირებულია თავად სწავლის პროცესისგან სიამოვნების მიღებაზე. აქ გამოიყოფა შემდეგი მოტივაციები:

- ეპისტემიკური (epistemic) მოტივი. სწავლა და ცოდნა სიამოვნების მიღებისა და კმაყოფილების წყაროა. მოტივაცია, თავის მხრივ, დაკავშირებულია მის ინდივიდუალურ შინაარსთან; სწავლასთან, ცოდნის მიღებასთან, უნარებთან, დამოკიდებულებასთან და სხვა. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის მოტივაციისთვის დამახასიათებელია ემოციური განწყობა/განზომილება (რაღაცის მოწონება, სიყვარული და სხვ.). ზოგჯერ სწავლისგან მიღებული სიამოვნება ორიენტირებულია გახსნილ გონებაზე, მეტაკოგნიტურ განვითარებაზე, რომლის მიზანია განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები.
- სოციო-ემოციური (socio-emotional) მოტივი. ინდივიდები დაინტერესებულნი არიან განათლების მიღების იმ მოტივით, რომ დაამყარონ ახალი სოციალური კონტაქტები და ინტეგრირდნენ ახალ სოციალურ ჯგუფებში. ასეთი სახის მოტივაციისას ემოციური განზომილება/განწყობა დაკავშირებულია სხვებთან ერთად ყოფნით მიღებულ სიამოვნებასთან.
- სასიამოვნო (hedonic) მოტივი. სწავლის პროცესში ჩართული ინდივიდები სიამოვნებას იღებენ სასწავლო გარემო პირობებიდან, მატერიალური რესურსებიდან,

დოკუმენტებიდან და ა.შ. ამ შემთხვევაში სიამოვნება სასწავლო შინაარსისგან დამოუკიდებელია.

კარეს მოდელში გარეგანი (extrinsic) მოტივაცია დაკავშირებულია სწავლის პროცესის შედეგიდან მიღებული ჯილდოს კმაყოფილებაზე. თავად პროცესი და შედეგი ერთმანეთისგან განხვავებული და დამოუკიდებელია. სწავლა მიჩნეულია, როგორც სხვა მიზნების მიღწევის საშუალება, რომელიც პროცესის გარეთაა. ამ ჯგუფის მოტივებიდან შესაძლოა გამოვყოთ:

- ეკონომიკური (economic) მოტივი. სწავლის პროცესში მონაწილეობის მიზეზები მკაფიოდ არის მატერიალურ სარგებელთან დაკავშირებული.
- პრესკრიფციული (prescriptive) მოტივი. ინდივიდის მონაწილეობა სწავლის პროცესში განპირობებულია ისეთ გარეგან ფაქტორზე, როგორიცაა დაკისრებული ვალდებულება. ხანდახან გავლენის სფერო უფრო დელიკატურია. მაგალითად, სოციუმის მიერ განხორციელებული ზეწოლა, რაც მიმართულია წესების დამორჩილებისაკენ, იერარქიული ზეწოლა და ა.შ.
- წარმოებული (derivative) მოტივი. სწავლის პროცესში მონაწილეობის ძირითადი მიზეზი არის არასასიამოვნო სიტუაციებისაგან, აქტივობებისგან ან უსაქმურობისგან თავის არიდება.
- პროფესიული ინტერესით (professional operative) გამოწვეული მოტივი. სწავლის მიზეზი დაკავშირებულია კომპეტენციების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, რომელიც საჭიროა კონკრეტული პროფესიონალური საქმიანობისთვის.
- პირადი ინტერესით (personal operative) გამოწვეული მოტივი. ინდივიდები სასწავლო პროცესიდან იღებენ იმ ცოდნასა და უნარებს, რაც, ძირითადად, უკავშირდება სამსახურის გარეთ არსებულ აქტივობებს (მაგ: თავისუფალი დრო, ოჯახური ცხოვრება). ამ შემთხვევაში სწავლა გვეხმარება დაგეგმვაში, ინტერესის გაღვივებაში ან კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებაში.
- იდენტურობის (identity) მოტივი. ინდივიდი სასწავლო პროცესში ერთვება პროფესიონალური, კულტურული ან სოციალური სტატუსის (დიპლომის, კვალიფიკაციის, უკეთესი პოზიციის მიღება) მისაღებად.

- პროფესიული (vacational) მოტივი. პროფესიული მართვის ლოგიკა, კარიერის მენეჯმენტი ან დასაქმება განსაზღვრავს სწავლის მიღების სურვილს. ინდივიდებს სურთ განავითარონ თავიანთი კვალიფიკაცია, ცოდნა ან უნარები, რათა შეინარჩუნონ, გაიუმჯობესონ ან იპოვონ ახალი სამსახური (ისინი ამას უწოდებენ - „კარიერას“, „მობილობას“, „პროფესიულ მომავალს“, „შესაძლებლობებს“)(Carré,2001. pp.15-18).

3. კვლევის ძირითადი მიგნებები

- კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების მიღების ძირითად მოტივაციებს წარმოადგენს: სოციალური ინერცია, პროფესიული თვითგამორკვევა, დასაქმება, დიპლომი, პიროვნული ზრდა, სწავლა ცოდნისთვის, სტუდენტობის გამოცდილების შეძენა.
- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ინერცია უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივაციური დესკრიპტორია: უმაღლესი განათლების მიღებას მოტივაციურად ამყარებს, ასტიმულირებს მშობლის მოთხოვნა, თანატოლების ქცევა ან სტუდენტობის გამოცდილების შეძენის სურვილი. ცოდნის მიღება და წარმატებულ კარიერაზე ორიენტაცია ჯერჯერობით უფრო იმპლიციტური ფაქტორის როლს ასრულებს და ნაკლებად არის გამოკვეთილი.
- მონაცემების სიხშირული და თვისებრივი ანალიზის შედეგად ნათელია, რომ უმაღლესი განათლების მიღების მოტივებსა და მოლოდინებს შორის არსებობს განსვლა. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობისთვის უმაღლესი განათლების მიღების მოტივაცია მატერიალური უზრუნველყოფის მიღებაა, ხოლო უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით მატერიალური კეთილდღეობის მიღების რეალური მოლოდინი ძალიან მცირეს აქვს.
- სამივე ჯგუფისთვის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მაგისტრანტები) საერთოა ის ფაქტორი, რომ უმაღლესი განათლების მიღება ესაა სკოლის შემდგომი ნაბიჯი, რომელიც გაცნობიერებული და ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება კი არა, უბრალოდ გავრცელებული და კარგად დამკვიდრებული სოციალური ტრადიციაა. უმაღლესი განათლების მიღება, ძირითადად, განპირობებული იყო ინერციითა და ტრადიციით, რომ სკოლის დასრულების შემდეგ საჭიროა რაიმეს კეთება.
- აღმოჩნდა, რომ პროფესიაზე წარმოდგენები იცვლება მასთან უშუალო კავშირის შემდეგ, უმაღლესში სწავლის პროცესში ან შემდგომ. ეს წარმოდგენები ზოგ

შემთხვევებში სრულიად ინგრევა, ხოლო ზოგჯერ განიცდის მოდიფიკაციას, რასაც ინდივიდი ეგუება. იმ შემთხვევაში თუ სრულად იცვლება, ასეთ დროს ადამიანი ახდენს გადაწყვეტილების გადახედვასა და არჩეული მიმართულების შეცვლას.

- კონკრეტული პროფესიის დაუფლების მოტივით ინიცირებული გადაწყვეტილება ყალიბდება ბავშვობის ასაკში სოციალური გავლენების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ამ მოტივით მიღებული გადაწყვეტილებები საკმაოდ რაციონალური და სტაბილური აღმოჩნდა.
- რესპონდენტთა ნაწილისთვის უმაღლესი განათლება განიხილება, როგორც დასაქმების გაზრდის შესაძლებლობა. თუმცა აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ უმაღლესი განათლება არ წარმოადგენს დასაქმების წინაპირობას, ის უბრალოდ პრიორიტეტს ანიჭებთ კონკურენტულ შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების არმქონე ადამიანებთან შედარებით.
- გამოკითულ სეგმენტთა ნაწილისთვის დიპლომი წარმოადგენს მხოლოდ სოციალურ ღირებულებას, რომელიც მათ ეხმარებათ/სჭირდებათ სოციალური სტატუსის მინიჭებაში.

4. თვისებრივი კვლევის ანგარიში

ჩატარებული კვლევის ემპირიულმა მონაცემებმა დაადასტურა ფილიპ კარეს თეორიული მოდელი ზრდასრულთა განათლების მიღების მოტივაციებთან დაკავშირებით. საქართველოს შემთხვევაშიც ეს მოდელი ვალიდურია. კარე გამოყოფს განათლების მიღებასთან დაკავშირებულ ინდივიდის შინაგან და გარეგან მოტივაციებს.

ფილიპ კარეს შინაგანი მოტივაციებიდან ქართულ სინამდვილეშიც გვხვდება ეპისტემიკური და სოციო-ემოციური მოტივები. ეს მოტივები გულისხმობს შემდეგს: ინდივიდის მიერ განათლების მიღების გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს ცოდნის მიღება და ახალი სოციალური კონტაქტების დამყარება, სტუდენტური გამოცდილების შეძენა. თუმცა შინაგანი მოტივები იშვიათ შემთხვევებში ვლინდება, უფრო აქტუალური აღმოჩნდა კარეს თეორიული მოდელის გარეგანი მოტივაციები, რომელიც ორიენტირებულია სწავლის შედეგებიდან მიღებულ სარგებელზე. გარეგანი მოტივაციებიდან საქართველოში მნიშვნელობს ეკონომიკური (economic), პროფესიული ინტერესით გამოწვეული (professional operative), იდენტურობისა (identity) და პროფესიული (vacational) მოტივები.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივაციებიდან გამოვლინდა შემდეგი: სოციალური ინერცია, პროფესიული თვითგამორკვევა, დასაქმება, დიპლომი, პიროვნული ზრდა, სწავლა ცოდნისთვის და სტუდენტობის გამოცდილების შეძენა.

4.1 უმაღლესი განათლების სტერეოტიპი და სოციალური ინერცია

კვლევის შედეგებიდან იკვეთება რომ უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციურ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უმაღლესი განათლებისადმი საზოგადოებაში არსებულ ერთგვარ მოტივაციურ სტერეოტიპს, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების მიღების გადაწყვეტილების რაციონალურ ღირებულებასთან. ძირითად შემთხვევაში ადამიანი ისე ხდება გარკვეული ფაკულტეტის სტუდენტი, რომ რეალურად არ აქვს გაცნობიერებული როგორ

მნიშვნელობს მისთვის ეს გადაწყვეტილება. როგორც ცნობილია, ინდივიდის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ოჯახი, მისი ტრადიციები, უფროსი თაობის ადამიანების მსოფლმხედველობა. შესაბამისად, ხშირად გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს ოჯახსა თუ სოციუმში უმაღლესი განათლების მიმართ არსებული დამოკიდებულებები.

„ჩემი უმაღლესში ჩაბარება მე მგონი მართლა სამშობიაროში იყო გადაწყვეტილი.“ (სტუდენტი)

აქედან გამომდინარე, შესწავლილი აუდიტორიის უმეტეს ნაწილთან და განსაკუთრებით კურსდამთავრებულებთან, უმაღლესი განათლების მიღების პირველადი მამოძრავებელი ძალა სოციალური ინერციაა.

„საქართველოში 99% აქვს დიპლომი და ზოგს არა ერთი. საუბარი არც ყოფილ მიმელო განათლება თუ არა. ალბათ პირიქით სახლში რომ მეთქვა არ უნდა ჩავაბაროთქო, გამაგდებდნენ, ეს გადაწყვეტილება გაცნობიერებული არც მქონია. ის ჩაბეჭდილია ჩვენს ცნობიერებაში.“ (კურსდამთავრებული)

უმაღლესში ჩაბარება არის გარდაუვალი ეტაპი, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ ადამიანმა უნდა გაიაროს. სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის არ არსებობს დროის შუალედი, თუ ის არ შეიქმნა უმაღლესში ჩაბარების წარუმატებელი მცდელობის შედეგად.

„მე რაც თავი მახსოვს ვაპირებდი რომ უმაღლესში ჩამებარებინა. ეს იყო სიტუაციიდან გამომდინარე, მაშინ ყველა უმაღლეს განათლებას იღებდა საქართველოში.“ (მაგისტრანტი)

„ეს ყველაფერი ალბათ ქვეცნობიერად ხდება, ბაღში რომ მიდიან ბავშვები, ამბობენ რომ მერე სკოლაში უნდა წავიდნენ. ჩვენც ასე გავიზარდეთ, ყველამ ვიცით რომ ჯერ ბაღი, მერე სკოლა, მერე უმაღლესი და მერე სამსახურში უნდა ვიაროთ. ჩვენც ასე გავიზარდეთ ყველა, რომ ბევრი უნდა გვესწავლა. მერე უკვე, როცა ადამიანი დამოუკიდებელი ხდები, შენ თვითონ წყვიტავ რა გინდა.“(კურსდამთავრებული)

„ მე ყოველთვის ოჯახიდან და მაშინდელი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ვიცოდი რომ უმაღლესში უნდა გამეგრძელებინა სწავლა. ეს რაღაც დაუწერელი კანონი იყო. მეცხრე კლასიდან უკვე პროფესიაზე დავფიქრდი და არჩევანი გავაკეთე.“ (სტუდენტი)

კვლევა აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში უმაღლესში ჩაბარება არ არის ინიცირებული კონკრეტული სპეციალობის, ან ცოდნის დაუფლების მიზნით. ადამიანი ამ გადაწყვეტილებას იღებს რადგან ასეა მიღებული, ისევე როგორც მიღებულია რომ 12 წლის შემდეგ ადამიანი გახდება 13 წლის, შემდეგ 14-ის და ამას უბრალოდ არავინ ეწინააღმდეგება.

„ეს იყო დაუწერელი კანონი. ჩვენს მშობლებს უნდოდათ. ბავშვობიდან ეს გვესმოდა. ეს არის ქართველების მენტალიტეტი, ალბათ კომუნიზმის გადმონაშთია.“ (კურსდამთავრებული)

„ეს ჩემთვის იყო ცხოვრების ახალი ეტაპი. ჯერ ხარ ბაღში, მერე მიდიხარ სკოლაში და მერე უმაღლესში. მე სულ სადღაც მივდივარ, ჩემთვის სულ უნდა არსებობდეს ეს ახალი ეტაპები. მაგ მომენტში ზუსტად ეგ იყო, მაგრამ რაზეც ჩავაბარე, იყო სრული სისულელე, იქიდან არაფერი მისწავლია, 4 წელი აბსოლუტურად დავკარგე, ბაკალავრიატს ვგულისხმობ. უბრალოდ ჩემთვის იყო ის, რომ გადავედი სხვა ეტაპზე, ეს იყო ჩემთვის ახალი ნაცნობობა, ახალი გარემო. შეიცვალა ცხოვრების სტილი. 16 წლის რომ ვიყავი, საერთოდ არ ვიცოდი რა მინდოდა, რა მაინტერესებდა. ყველა რომ აბარებს, შენც ამ ტალღაში ექცევი და შენ რაც გინდა, იმას კარგავ. ადამიანს თავისუფლება უნდა ქონდეს, რომ გადაწყვიტოს რა უნდა.“ (მაგისტრანტი)

უმაღლესი განათლების მიღების შესახებ, ჯერ კიდევ მე-5-მე-6 კლასიდან ხდება მოსწავლის იდეური მომზადება, ხოლო პროფესიაზე ფიქრი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას იწყებენ ძირითადად მე-11-მე-12 კლასიდან. სწორედ ეს პერიოდია გარდამტეხი ეტაპი მოსწავლის ცხოვრებაში, როდესაც ახდენენ ინტერესების, გატაცებების, მიზნების თავმოყრასა და არჩევანის გაკეთებას, თუმცა ამ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის არაა საბოლოო და მოითხოვს კორექტირებას. არჩევანი ზოგჯერ კორექტირდება, ზოგჯერ კი ხდება დაუკორექტირებელი და კურსდამთავრებული და დასაქმებული ადამიანი საუბრობს არასწორ პროფესიულ

არჩევანზე. შესაბამისად, ვითარდება განათლების შესახებ სოციალური სტერეოტიპების ნეგატიური გავლენის რისკი მომავალი სტუდენტის პროფორიენტაციის დახმარების გარეშე. შედეგად შესაძლოა მივიღოთ „დეზორიენტირებული“ ადამიანი, რომელიც პირველ რიგში მოტივაციურად არ არის მზად შრომის ბაზრის მკაცრ მოთხოვნებს შორის გადარჩენისათვის. ის სოციალური სტერეოტიპი, რომ უმაღლესი განათლება ადამიანის განვითარების აუცილებელი ეტაპია, რომელიც მას „დასრულებულობის“ სოციალური სტატუსის მისაღწევად სჭირდება, წარმოადგენს, ერთი მხრივ, მოტივატორს [რადგან გაუცნობიერებლად ინერციას აძლევს ადამიანს], მეორე მხრივ, კი ზრდის ადამიანური კაპიტალის არასწორი მიმართულებით განვითარების, საკუთარი თავითა, თუ სასწავლებლით ადამიანის უკმაყოფილების რისკს.

აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე დაგეგმილია და ხორციელდება გარკვეული სახის ცვლილებები პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების თვალსაზრისით, რასაც ადასტურებს სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტის შექმნა 2014 წელს, სადაც დეტალურადაა გაწერილი არსებული პრობლემების პრიორიტეტიზაციის საფუძველზე მათი მოგვარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი პერსპექტივები და სახელმწიფო სტრუქტურების როლი. „უახლოეს წარსულში ქვეყანაში არსებული მწვავე ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფონიდან გამომდინარე, პროფესიული კონსულტირება ყურადღების მიღმა დარჩა. განვითარებულმა ქვეყნებმა და განვითარებადი ქვეყნების დიდმა ნაწილმა უკვე მკაფიოდ გააცნობიერეს, რომ სახელმწიფო პროგრესის მთავარი დასაყრდენი ადამიანური კაპიტალია, ამიტომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ერთის მხრივ, ადამიანური რესურსების დაგეგმვას, და მეორეს მხრივ, ადამიანური რესურსების განვითარებისათვის მდგრადი პირობების შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად კი პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის როლი განუზომლად დიდია.“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №721 , 2014 წლის 26 დეკემბერი, ქ.თბილისი, საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ). მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ამ მცდელობებისა,

პრობლემა, როგორც ჩანს, უფრო მეტ ყურადღებასა და ჩართულობას მოითხოვს, რასაც ჩატარებული კვლევაც ადასტურებს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა უმაღლესში აბარებს კვლავ სოციალური სტერეოტიპების ზეგავლენით, დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

4.2 პროფესიული თვითგამორკვევა

კვლევამ აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება ინიცირებული იყოს კონკრეტული პროფესიის დაუფლების მოტივითაც. ეს მოტივი ყალიბდება ბავშვობის ასაკში სოციალური გავლენების საფუძველზე. როდესაც ოჯახის წევრების, ან სხვა აქტუალური გმირების პროფესიული ცხოვრების წესი ხდება მისაბაძი, საინტერესო და საბოლოო ჯამში, საოცნებო.

„იქიდან გამომდინარე, რომ და მყავს უფროსი, რომელიც სწავლობდა ამ პროფესიაზე, წარმოდგენა მქონდა, ვიცოდი ყველაფერი და უკვე როცა სერიოზულად დავიწყე ფიქრი პროფესიაზე, ვიცოდი რომ ამაზე უნდა ჩამებარებინა“ (მაგისტრანტი)

პროფესიული მოტივით მიღებული გადაწყვეტილება საკმაოდ რაციონალურია და სტაბილური. ის ასახავს რეალურ მიზანს და ეხმარება მოსწავლეს ხარისხიანად მოემზადოს უმაღლესში ჩაბარებისთვის და შემდეგ უკვე სტუდენტს - პროფესიული ცოდნის დაუფლებაში.

„უკვე მე-11 კლასში დავიწყე სერიოზული ფიქრი რომ უნდა ჩამოვყალიბებულიყავი, ერთ კონკრეტულ შედეგამდე მივსულიყავი. რომ გავაანალიზე ჩემი ინტერესები ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენები მივიღე საერთაშორისო ურთიერთობები. რომ დავფიქრდი ყოველდღიურად ისედაც სიახლეებს სულ ვეცნობოდი, ანუ საერთაშორისო ურთიერთობებს მეორენაირად მსოფლიო პოლიტიკას ეძახიან, მაინტერესებდა პოლიტიკური საკითხები, თუნდაც ქვეყნის დასალიერში რა ხდება, ამიტომ შევჩერდი ბოლოს საერთაშორისო ურთიერთობებზე.“ (სტუდენტი)

თუმცა, გარემოებიდან გამომდინარე, ხდება ამ მიზნიდან გადახვევაც და ადამიანი იცვლის პროფესიულ ორიენტირს. ამ პროფორიენტაციულ ცვლილებას ზოგი ასახავს თავის ცხოვრებაში, ზოგი კი ეგუება უკვე გაკეთებულ არჩევანს.

„პატარაობიდან მინდოდა რომ ექიმი გამოვსულიყავი და იქიდანვე მქონდა გადაწყვეტილი რომ ჩამებარებინა, მაგრამ მერე სპეციალობა შევიცვალე და ტურიზმის განხრით ვარ ახლა.“ (სტუდენტი)

4.3 დასაქმება

ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ დასაქმება, სამსახურის შოვნის მეტი პოტენციალი არის უმაღლესში ჩაბარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაციური საფუძველი. მიღებულ შედეგს ამყარებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა ახალგაზრდების დამოკიდებულებების, მოტივაციისა და დასაქმების სტრატეგიების შესწავლას. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესი ნაწილის მოსაზრებით, სასურველი სამსახურის დასაწყებად, პირველ რიგში, უმაღლესი განათლებაა საჭირო. სკოლა, უმაღლესი განათლება და დასაქმება - ეს ჯაჭვი იმდენად ფესვგადგმულია საზოგადოებაში, რომ ახალგაზრდებს რთულად წარმოუდგენიათ უმაღლესი განათლების მიღების გარეშე დასაქმება. უფრო მეტიც, რესპოდენტთა ნაწილისთვის სწორედ უმაღლესი განათლების მიღებისა და სწავლაში ჩადებული ინვესტიციის მთავარ მიზანს დასაქმებისა და კარიერული წარმატების მიღწევის შესაძლებლობა წარმოადგენს. აღმოჩნდა, რომ ეს მოტივაცია თანხვედრაშია ადამიანური კაპიტალის თეორიის შინაარსთან, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელია გარი ბეკერი. ამ თეორიის მიხედვით განათლება განიხილება ინვესტირების ოპტიმიზაციის რაკურსიდან. ადამიანები განათლებას იღებენ მისი სარგებლისა და დანახარჯების შეფარდების გათვალისწინებით.

„ჩემთვის სწავლაში ჩადებული ინვესტიცია, ყოველთვის საუკეთესო ინვესტიციაა. სულ ასე ვიყავი, რომ ჩავაბარებდი უნივერსიტეტში, დავამთავრებდი, მეორე კურსზევე მექნებოდა კარგი სამსახური და უკვე მომავალი წარმატებული და გარანტირებული

მექნებოდა. ანუ სამსახური მექნებოდა და უკან დამიბრუნდებოდა ის თანხა, რასაც მე სწავლაში ჩავდებდი. ეს მეორე კურსზევე ვერ მოხდა, მაგრამ მაინც მოხდა.“ (კურსდამთავრებული)

„ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. სურვილი მქონდა რომ იმ სფეროში მესწავლა, რომელიც მაინტერესებდა. ამ უნივერსიტეტის დამთავრება ჩემთვის ასოცირდებოდა კარგ სამსახურთან, დასაქმებასთან და უზრუნველყოფილ, დამოუკიდებელ მომავალთან.“ (კურსდამთავრებული)

დასაქმების დაბალი შესაძლებლობიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები და სტუდენტები თვლიან, რომ განათლების გარეშე დასაქმების შანსი კიდევ უფრო მცირდება და შრომის ბაზარი კიდევ უფრო დახურული ხდება ადამიანებისთვის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლება არის დასაქმების წინაპირობა, ის არის უბრალოდ დასაქმების შანსის გაზრდა უმაღლესი განათლების არმქონე ადამიანებთან შედარებით. მიღებულ შედეგს ამყარებს სოციალურ მუშაობათა ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები: სკოლის განათლებასთან შედარებით, ბაკალავრის ხარისხის ფლობა დასაქმების შესაძლებლობას თითქმის 3-ჯერ ზრდის, ხოლო მაგისტრის ხარისხის ფლობა 5-ჯერ. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ფორმალური განათლების დონე (საფეხური) არ განსაზღვრავს მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სფეროში დასაქმდება ადამიანი თუ ისეთ სამუშაო ადგილზე, რომელსაც უფრო დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები აქვს (განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში 2017.გვ 6).

„დღეს ნასწავლი ადამიანი ძალიან რთულად პოულობს სამსახურს და უსწავლელი ხომ საერთოდ.“ (სტუდენტი)

„უმაღლესში ჩავაბარე პირველ რიგში, იმიტომ, რომ დამოუკიდებელი ადამიანი უნდა ვყოფილიყავი და მყარად ვყოფილიყავი ჩემს თავზე დამოკიდებული. უმაღლესი განათლების გარეშე მუშაობას ვერ დავიწყებდი, ისეთ სამსახურზე მაქვს აქცენტი, რომელიც მე მთელი ცხოვრება მინდოდა მეკეთებინა, თორემ შეიძლება სხვა სამსახურს არც ჭირდებოდა უმაღლესი განათლება. ამიტომ გადავწყვიტე გამოვსულიყავი

დამოუკიდებელი, განათლებული ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება თავის თავზე იქნებოდა დამოკიდებული.“ (მაგისტრანტი)

4.4 დიპლომი

დიპლომი წარმოადგენს უმაღლესი განათლების ერთ-ერთ წამყვან ღირებულებას, რადგან თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე დიპლომის გარეშე ადამიანის დასაქმება კონკრეტული სპეციალობით ნაკლებად შესაძლებელია. სიგნალის ეფექტის თეორიის მიხედვით, განათლების მიღების მთავარი მოტივი ადამიანისთვის საკუთარი უნარიანობის დემონსტრირებაა, ვიდრე მიღებული კომპეტენცია. ამ შემთხვევაში უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღება. თავის მხრივ, დიპლომის ქონა დამსაქმებლისთვის ადამიანის უნარიანობის ინდიკატორს წარმოადგენს, რაც მის მაღალშემოსავლიანობას განაპირობებს. შესაბამისად, დიპლომის აღება განიხილება, როგორც უმაღლესი განათლების მიღების ერთ-ერთი მოტივატორი.

„ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ საშუალო განათლების საბუთით თითქმის ვერც ერთ სამსახურში ვერ დაიწყებ მუშაობას, უმაღლესში ჩაბარების უფრო ალბათ ერთ-ერთი და ერთადერთი მიზეზიც არის ალბათ ის, რომ დიპლომი უკვე ჟღერს.“ (მაგისტრანტი)

დიპლომი როგორც მოტივატორი ყალიბდება სოციუმის, ოჯახისა და შრომის ბაზრის მოთხოვნის მიხედვით.

„ისეთი რაღაცაა, რომ საქართველოში დღეს დიპლომი ძალიან საამაყოა მშობლებისთვის და ამასთანავე, დიპლომი საჭიროა სამსახურისთვის.“ (სტუდენტი)

ქართულ სინამდვილეში ცალკე აღებული დიპლომი არ არის არც დასაქმებისა და არც დასაქმების შემდეგ პროფესიული წარმატების მიღწევისთვის საკმარისი პირობა. დიპლომი, ზოგიერთ შემთხვევაში არის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი, ზოგიერთ შემთხვევაში კი მხოლოდ უმაღლესის დამთავრების შესახებ დოკუმენტი.

„ბევრს დიპლომი უდევს სახლში, მაგრამ ვერაფერში ვერ იყენებს.“ (სტუდენტი)

„დღევანდელ დღეს დიპლომები, სერთიფიკატები ყველგან ჭრის და მოქმედებს. მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც დიპლომი არის ხარისხიანი. ხარისხიანი გულისხმობს იმას, რომ მართლა გეკუთვნის ის დიპლომი, რაც გაქვს.“ (სტუდენტი)

ცოდნის საფუძვლების გარეშე დიპლომი მხოლოდ სოციალურ ღირებულებას წარმოადგენს. ის ადამიანს აძლევს სოციალურ სტატუსს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ღირებულება მშობლებისთვის, რომლებსაც სურთ, რომ შვილებს მისცენ უმაღლესი განათლება. რა თქმა უნდა, ეს ღირებულება, თავის მხრივ, დაკავშირებულია დასაქმებასთან, უზრუნველყოფილ ცხოვრებასთან, თუმცა ამის გარეშეც უმაღლესში ჩაბარება და შემდგომში უკვე დიპლომი მშობლებისთვის წარმოადგენს შვილზე ზრუნვის აუცილებელ პირობას.

„როგორც უმრავლესობას საქართველოში უნდა რომ შვილს უმაღლესი განათლება ქონდეს, ჩემთანაც ასე იყო. მე კონკრეტულად უმაღლეს სასწავლებელში არ ჩამიბარებია, რომ ფსიქოლოგია მესწავლა, ასეთი თვითმიზანი არ მქონია.“ (მაგისტრანტი)

„ჩემი აზრით, ალბათ სტატუსისთვის, უმაღლესდამთავრებული უნდა იყო. ეს სტატუსი გვინდა თვითდამკვიდრებისთვის საზოგადოების წინაშე.“ (კურსდამთავრებული)

4.5 პიროვნული განვითარება

კვლევამ აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების მიღების მნიშვნელოვანი, მაგრამ სხვა მოტივატორებთან შედარებით ნაკლებად აქტუალურია პიროვნული განვითარების მოტივი. უმაღლესში სწავლა საჭიროა არა მხოლოდ დასაქმებისთვის, არამედ განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისთვისაც. ის აუცილებელია საკუთარ თავში გარკვევის, საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენისა და წინსვლისათვის. უმაღლესი განათლება არის არა უბრალოდ ცოდნის სისტემატიზირებულად მიღების შესაძლებლობა, არამედ სოციალიზაციის, ცოდნის გაზიარებისა და პიროვნული განვითარების საფუძველი.

„სწავლა აუცილებელია ჩემი აზრით. მაგრამ არა მარტო სამსახურის მოსაპოვებლად. ასევე საჭიროა, რომ ცხოვრებაში წინ წახვიდე და რამეს მიაღწიო, ვიღაც იყო

ელემენტარულად. პიროვნება რომ იყო, უსწავლელი ადამიანი ძალიან ადვილი დასაყოლიებელია, ყველამ თავის ჭკუაზე ატაროს შეუძლია. მარტო დიპლომი არაა გადამწყვეტი, საერთოდ განათლებული ადამიანი უნდა იყო და საერთოდ შენი აზრი უნდა გაგაჩნდეს.“ (სტუდენტი)

4.6 სწავლა ცოდნისათვის

კვლევამ გამოავლინა, რომ უმაღლესი განათლების მიღების წამყვანი მოტივატორი იშვიათ შემთხვევებში, შესაძლოა გახდეს ცოდნის, განათლების მიღება. ამ მოტივატორით დაჯგუფებული სეგმენტის აზრით, უმაღლესი სასწავლებლის გარეშე, დამოუკიდებლად, შეუძლებელია კონკრეტული მიმართულებით სრულყოფილი ცოდნის შეძენა. რესპოდენტთა ეს დამოკიდებულება იხსნება იმით, რომ ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილი, კონკრეტული პროფესიული განათლების მქონე ადამიანების მიერ ცოდნის გადმოცემის მეთოდებს, ცოდნის მიღების პროცესში მიმართულებების მიცემასა და ცოდნის დაუფლების პროცესში სტუდენტის მონიტორინგს.

„შეუძლებელია უნივერსიტეტში სწავლის გარეშე ადამიანი პირდაპირ მოხვდეს სადმე და რამეს მიაღწიოს, ასეთი ერთეულებია. უნდა გაიარო ეტაპები, ჯერ სკოლა, მერე უნივერსიტეტი, მაგისტრატურა თუ საშუალება გაქვს საზღვარგარეთ წახვიდე სასწავლებლად და ამის შემდეგ გამოჩნდება შედეგი.“ (სტუდენტი)

უმაღლესი განათლება ეხმარება სტუდენტს ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების საჭირო მიმართულებით წარმართვაში. ცოდნა ხდება უფრო სისტემატიზირებული და გამოყენებადი, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს არა უბრალოდ ინფორმაცია კონკრეტული ფაქტების, მოვლენების, კანონზომიერებების შესახებ, არამედ დააკავშიროს ისინი ერთმანეთთან. მოახდინოს მათი კლასიფიკაცია გარკვეული ლოგიკით.

„უმაღლესში სწავლის გარეშე ალბათ უფრო გაფანტული ცოდნა მექნებოდა, ანუ მეთოდური სწავლების გამოცდილება არ მექნებოდა, რომ აუდიტორიაში ვიჯექი, პრეზენტაციებს ვაკეთებდი, კოლოქვიუმებს ვწერდი, გამოცდებს ვაბარებდი ანუ ეს

დისციპლინა არ მექნებოდა, მაგრამ მექნებოდა წაკითხული ეს წიგნები, რომლებიც ახლოს იყო იმ სფეროსთან, რომლითაც მე დავინტერესდი.“ (კურსდამთავრებული)

„უმაღლესის ღირებულება ჩემთვის, პირველ რიგში, იყო ფუნდამენტალური ცოდნის შეძენა, რაც მომავალში ჩემი იდეების რეალიზაციას შეუწყობდა ხელს. სწავლის პერიოდში იყო მრავალი დავალება, რომელიც გიყალიბებს სხვადასხვა უნარ-ჩვევებს, ურთიერთობას, ადამიანის აზრის პატივისცემას.“ (კურსდამთავრებული)

რესპონდენტთათვის, ვისთვისაც უმაღლესი სასწავლებელი არის ცოდნის ეფექტურად მიღების საშუალება, უმაღლეს სასწავლებელში სწავლას განიხილავს, როგორც ეტაპს, რომელსაც შეიძლება მოყვეს სხვა სასწავლებელში სწავლის პრაქტიკა და ასე მანამ, ვიდრე ადამიანი არ გააცნობიერებს, რომ მზად არის პროფესიული ცხოვრების დასაწყებად. სავარაუდოდ ამ ტიპის სეგმენტის მოცულობა მოსახლეობაში იქნება მცირე.

„უნივერსიტეტში ჩაბარება ჩემთვის კარიერა არ ყოფილა, ანუ სადაც ვაბარებ აუცილებლად იმ განხრით შეიძლება არც ვიმუშაო. მიზნად მაქვს ინფორმაციის, ცოდნის მიღება, გონების განვითარება. ის, რასაც ისინი მომცემენ, შეიძლება ჩემით ვერ მივაგნო. მიმითითებენ საით, ოღონდ რომ მათზე ვიყო დამოკიდებული, ასე არა.“ (სტუდენტი)

4.7 სტუდენტობის გამოცდილების შეძენა

უმაღლესი განათლების მიღების ერთ-ერთ მოტივატორს წარმოადგენს სტუდენტის გამოცდილების მიღება. ეს მოტივი ცალკე აღებული ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ცოდნის, დიპლომის, სამომავლო პერსპექტივის მოტივის გარეშე, სტუდენტობის გამოცდილების შეძენის სურვილი არ წარმოადგენს ისეთი წონის მიზანს, რისთვისაც ადამიანმა შეიძლება რამდენიმე წელი საგნების მომზადებასა და შემდეგ სწავლაში დახარჯოს. ეს არის უფრო თანამოტივი, რომელიც სხვა მოტივებთან ერთად უფრო კომპლექსურსა და გამართლებულს ხდის ადამიანის გადაწყვეტილებას, ისწავლოს უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევის შედეგებიდან გამოვლენილი მოტივატორებიდან სოციალური ინერციის ფაქტორი წარმოადგენს უმაღლესი განათლების მიმართ ზოგადი დამოკიდებულებების მაკონსტრუირებელ ფაქტორს. დასაქმების პერსპექტივა და დიპლომი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონკრეტული მიზანი, რომელიც ეხმარება მომავალ სტუდენტს იბრძოლოს უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად, ხოლო ჩაბარების შემდეგ ეხმარება ცოდნის დაუფლების პროცესში. სტუდენტური ცხოვრებისა და პიროვნული განვითარების მოტივები სწავლის პროცესის თანამოტივებია.

5. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

5.1 უმაღლესში სწავლის მოლოდინი და პრაქტიკა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში პირისპირი ინტერვიუ ჩატარდა 50 აბიტურიენტთან. გამოკითხულთა 48,4 % მამაკაცი, ხოლო 51,6% ქალი იყო. რესპონდენტთა 84% საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე გახლდათ, ხოლო 16 % კერძო სკოლის. აბიტურიენტების 94.8% საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ აპირებს უმაღლესი განათლების მიღებას, 3,7%-მა არ იცის, ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება კვლევის ჩატარებამდე ან ჩატარების მომენტში, ხოლო 1,5% არ აპირებს უმაღლესი განათლების მიღებას. ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ უმაღლესი განათლების მიღების გადაწყვეტილება არ აღმოჩნდა კავშირში აბიტურიენტთა გენდერულ კუთვნილებასთან და არც მათი ოჯახის ეკონომიკურ თვითშეფასებასთან.

დიაგრამა№1



გამოკითხულ აბიტურიენტთა უმრავლესობა (62,9%) უმაღლესი განათლების მიღებას აპირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. შემდეგ მოდის

ინჟინერია (28,4%) და სოციალური მეცნიერებები (9%). რესპონდენტთა 7,2% ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია თავის არჩევანში. ყველაზე ნაკლებ სასურველი მიმართულება გამოკითხულ სეგმენტთა შორის აღმოჩნდა აგრარული მეცნიერებები (1,3%)

რა მიმართულებით აპირებთ უმაღლესი განათლების მიღებას?

დიაგრამა №2



5.2 უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციები აბიტურიენტებში

აბიტურიენტების 98.2%-ისთვის უმაღლესი განათლების მიღების აპრიორული მოტივი ცოდნის მიღებაა. შემდეგი მოტივაციებია ცხოვრებაში წარმატების მიღწევისა (96.4%) და კონკრეტული საქმის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბების მოტივაცია (93.7%). აბიტურიენტთა მოტივაციები ძირითადად პრაგმატული ხასიათისაა და მომავლის უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. პრაგმატული მოტივაციებიდან მნიშვნელოვანია კარიერის განვითარების შესაძლებლობა (92,8%), დასაქმების ალბათობის გაზრდა (92,5%) და დამოუკიდებელ პიროვნებად ფორმირება (92,5%).

რატომ აპირებთ უმაღლესი განათლების მიღებას?

[უმაღლესი განათლების მიღების განმსაზღვრელი ფაქტორების მნიშვნელობა. სიხშირული ანალიზი_პროცენტული მნიშვნელობა]

დიაგრამა №3



მონაცემების სიხშირული ანალიზის დონეზე უმაღლესში ჩაბარების მოტივატორებს შორის ყველაზე დაბალია ისეთი მოტივები, რომლებიც სოციალური ინერციის ფენომენთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მშობლების მოთხოვნა, სტუდენტობის გამოცდილების შეძენა და ტენდენცია. თუმცა მოტივაციების სიღრმისეული ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ სოციალური ინერციის ფაქტორი უმაღლესი განათლების მიღების გადაწყვეტილებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანად მოქმედებს.

მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ აბიტურიენტებისათვის უმაღლესი განათლების მიღება საკმაოდ პრიორიტეტული და საფუძვლიანი

გადაწყვეტილებაა, რომელიც გამყარებულია რაციონალური და ემოციური პარამეტრებით.

უმაღლესი განათლების როლი დასაქმებაში

რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ 5 ბალიან სკალაზე უმაღლესი განათლების მიღება დასაქმების თვალსაზრისით რამდენად მნიშვნელოვანია. (სკალაზე 5 შეესაბამებოდა უმაღლეს განათლებას აუცილებელი მნიშვნელობა აქვს, ხოლო 1 - არსებითი მნიშვნელობა არ აქვს). აბიტურიენტთა 70 %-მა დაასახელა რომ დასაქმებისათვის უმაღლესი განათლება არის საჭირო, მაგრამ არა აუცილებელი პირობა. დანარჩენი 26,9% თვლის რომ უმაღლესი განათლება აუცილებლად დაეხმარებოდა დასაქმებაში, ხოლო 2,9%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.

დიაგრამა №4



5.3 აბიტურიენტთა მოლოდინები უმაღლესი განათლების მიმართ

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ აბიტურიენტების უმრავლესობა (82,6%) ელოდება ცოდნის მიღებას, რაც ამავდროულად უმაღლესი განათლების მიღების მთავარი მოტივაციაა. მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი მოლოდინი დაკავშირებულია

დასაქმებასთან. აბიტურიენტების 46,8%-ს აქვთ მოლოდინი, რომ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დასაქმდებიან.

დიაგრამა №5



საინტერესო აღმოჩნდა განსვლა უმაღლესი განათლების მიღების მოტივებსა და მოლოდინებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობისთვის (86,5%) უმაღლესი განათლების მიღების მოტივაცია მატერიალური უზრუნველყოფის მიღებაა, უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით მატერიალური კეთილდღეობის მიღების რეალური მოლოდინი მხოლოდ 3,9%-ს აქვს.

აბიტურიენტთა მიერ საქართველოში უმაღლესი დონის შეფასება

აბიტურიენტთა უმეტესობა (47%) საქართველოში უმაღლესი განათლების ამჟამინდელ დონეს 5 ბალიან სკალაზე (სადაც 5 შეესაბამება პოზიტიურ შეფასებას, ხოლო 1 - არსებითი ცვლილება არ მომხდარა) საშუალოდ აფასებს. თუმცა, უფრო ოპტიმისტურ

განწყობას ავლენენ უმაღლესი განათლების დონის შეცვლის მიმართ წინა 5 წელთან შედარებით და მომდევნო 5 წლის შემდეგ.

დიაგრამა №6



უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციები

უმაღლესი განათლების მიღების მოტივები შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ჯგუფად:

1. კარიერული განვითარების, რომელშიც შედის ცხოვრებაში წარმატების მიღწევა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება და კარიერული განვითარების შესაძლებლობა.
2. პერსონალური - დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება, პიროვნული განვითარება და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური ათვისება.
3. პრაგმატული - დასაქმების ალბათობის გაზრდა, მატერიალური უზრუნველყოფის მიღება და საკუთარი ინტერესებში/მისწრაფებებში გარკვევა.
4. სოციალური ინერცია - მშობლების მოთხოვნა, სტუდენტობის გამოცდილების შეძენის სურვილი და ტენდენცია.
5. პრესტიჟი - კონკრეტული პროფესიის პრესტიჟულობა.
6. ცოდნის მიღება.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ინერცია უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივაციური დესკრიპტორია: უმაღლესი განათლების მიღებას მოტივაციურად ამყარებს, ასტიმულირებს მშობლის მოთხოვნა, თანატოლების ქცევა ან სტუდენტობის გამოცდილების შეძენის სურვილი. ცოდნის მიღება და წარმატებულ კარიერაზე ორიენტაცია ჯერჯერობით უფრო იმპლიციტური ფაქტორის როლს ასრულებს და ნაკლებად არის გამოკვეთილი.

6. დასკვნა

ჩატარებულმა თვისებრივმა და რაოდენობრივმა კვლევებმა გამოავლინა, რომ რესპონდენტებს გააჩნიათ განსხვავებული დამოკიდებულებები უმაღლესი განათლების მიმართ. გამოკითხულ სეგმენტთა უმეტესობა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე. თუმცა, როდესაც საქმე ეხება უშუაოდ სამსახურის შოვნას, დასაქმების პრობლემა მოულოდნელად პრიორიტეტულ სტატუსს იძენს. ქართულ შრომის ბაზარზე ამ პრობლემის გადაჭრის მცირე ალბათობაა განათლების შინაარსისა და არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობის გამო. ამრიგად, რესპონდენტები ითავისებენ იმ აზრს, რომ უმაღლესი განათლება არ არის დასაქმების ეფექტური წინაპირობა. შედეგად მათი დამოკიდებულებები დროდადრო უმაღლესი განათლების მიმართ დადებითიდან უარყოფითი მიმართულებით იცვლება.

ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე, როგორიცაა უმაღლესი განათლება, მოქმედებს ფაქტორთა ერთობლიობა. როგორც წესი, უმაღლესში ჩაბარების გადაწყვეტილება არის არა ფიქრისა თუ განსჯის შედეგი, არამედ - თავისთავად ნაგულისხმევი. გავლენის მქონეა პირველადი სოციალური ჯგუფის, კერძოდ კი - მშობლების დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ მშობლების დამოკიდებულებებთან და განწყობებთან შესაბამისობა შვილებისთვის ერთ-ერთი წარმმართველი ფაქტორია უმაღლესი განათლების გადაწყვეტილების მიღებისას, რამდენადაც ისინი თავიდანვე აჩვევენ შვილებს იმას, რომ მათ აუცილებლად უნდა მიიღონ უმაღლესი განათლება. იმ მცირე თუ დიდ სოციალურ ჯგუფებში, რომლებშიც ყალიბდებიან ინდივიდები, უმაღლესი განათლება არის მნიშვნელოვანი ღირებულება და მას არ გააჩნია ალტერნატივა.

უმაღლესი განათლების მიღების აუცილებლობის სტერეოტიპი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ფესვგადგმულია საქართველოში. პოსტ-საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომი გახდა ყველა ფენისა თუ სოციალური ჯგუფის ადამიანისთვის, საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტში ჩაბარება გარდაუვალი ეტაპი გახდა ადამიანის ცხოვრებაში. რადგან არ ხდება სხვა ალტერნატივების განხილვა, იმ შემთხვევის გარდა თუ აბიტურიენტი რამდენიმე

წარუმატებელი მცდელობის მიუხედავად ვერ გადალახავს ერთიანი ეროვნული გამოცდების ბარიერს. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა თითქმის სრული გადინება ხდება უმაღლეს სასწავლებლებში, რასაც უმაღლესი განათლების მსურველთა სტატისტიკური მონაცემები და ასევე, საქართველოში შექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობა წარმოადგენს. ყოველივე ეს, თავის მხრივ, პრობლემებს ქმნის დასაქმების ბაზარზეც. ერთი მხრივ, პრობლემას ქმნის უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა დიდი ოდენობა, რომელიც ვერ ახერხებს დასაქმებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი კვალიფიკაციის შეუსაბამობის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, პრობლემა ჩნდება შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტის გამო.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე უნდა გაკეთდეს მნიშვნელოვანი დასკვა, რომ პრობლემის მოგვარება მოითხოვს რამდენიმე კუთხით მუშაობას. კარიერის დაგეგმვისა და პროფესიების შესახებ ინფორმაცია ადრეულ ასაკშივე უნდა მიეწოდოს ინდივიდებს. ეს შეიძლება იტვირთოს განათლების სისტემამ, სკოლა უნდა ცდილობდეს მოსწავლის ინფორმირებას მსგავს საკითხებში. ყველა სკოლაში საჭიროა კარიერული ცენტრების ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს მომავალი ადამიანური რესურსის სწორ ფორმირებას პიროვნების პოტენციალისა და ამა თუ იმ პროფესიის შესაბამისად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს პროფესიული განათლების განვითარება და წახალისება, რათა ის იქცეს უმაღლესი განათლების რეალურ ალტერნატივად.

7. ბიბლიოგრაფია

1. ამაშუკელი,მ., ლეჟავა,დ., გუგუშვილი,ნ.(2017). *განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.თბილისი.
   მოძიებულია 25 აპრილი,2018 http://css.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=24&info_id=1309
2. ანდღულაძე,ნ., ბრეგვაძე,თ.(2014). *უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა.*თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.თბილისი. მოძიებულია 25 აპრილი, 2018. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Student%20satisfaction%20survey%20-%20ge.pdf
3. დიმიტრიადისი,გ., კამბერელისი,ჯ.(2010). *თეორია განათლებისთვის.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. სამნიაშვილი, ლ. (2017). *ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები.* დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. მოძიებულია 21 აპრილი, 2018.http://press.tsu.ge/data/image_db_innova/fsiqologia/lela_samniashvili.pdf
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №533, 2017 წლის 7 დეკემბერი, ქ.თბილისი. *განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის 2017-2021 სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.* მოძიებულია 30 მაისი,2018.http://mes.gov.ge/s/DEOEQ
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება №721 , 2014 წლის 26 დეკემბერი, ქ.თბილისი. *საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.* მოძიებულია 2 ივნისი,2018. http://gov.ge/files/382_47102_627734_721261214.pdf
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.(19.06.2018). *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა განაწილება დამამთავრებელი კლასების მიხედვით.*

8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.(2016) *ახალგაზრდების დამოკიდებულებების, მოტივაციისა და დასაქმების სტრატეგიის შესწავლა.*თბილისი.მოძიებულია 12 მაისი, 2018. http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/55.pdf
9. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.(03.07.2018) *სტატისტიკური მონაცემები 2005-2017 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების თაობაზე.*
10. Becker, G. *Journal of Political Economy Vol.* 70, No. 5, Part 2: Investment in Human Beings (Oct.,1962),p.9. Retrieved 14 May,2018, from: https://www.jstor.org/stable/1829103?seq=1#page_scan_tab_contents
11. Bourdieu, P. (1986). The Forms of Capital.In J.Richardson(Ed.)*Handbook of Theory and Research for the Sociology of education*(New York,Greenwood). Retrieved 28 April, 2018, from: http://www.socialcapitalgateway.org/content/paper/bourdieu-p-1986-forms-capital-richardson-j-handbook-theory-and-research-sociology-educ
12. Burdieu, P., Passeron, J.C. (1990) Reproduction in education, society and culture, Vol. 4, Sage:London. Retrieved 25 April, 2018, from: http://www.public.iastate.edu/~carlos/607/readings/bourdieu1.pdf
13. Carré, P. From Motivations to Training. Paris: Harmattan,(2001).
14. Coleman, J. (1998). Social Capital in the Creation of Human Capital. *The University of Chicago Press,* 94, 120.
15. Dobbins, M., Khachatryan, S.(2015). Europeanization in the "Wild East"? Analyzing higher education governance reform in Georgia and Armenia. *Higher Education, 69*(2),pp.189-207.
16. Flap, H., & Volker, B. (2004). Creation and returns of social capital. Routledge.
17. Fukuyama, F. (1995). Trust: The Social Virtues and The Creation of Prosperity. London: Free Press Paperbacks.
18. Groot, W., Oosterbeek, H (1994). Earning Effects of Different Components of Human Capital vs. Screening. *Review of Economics and Statistics*,1994,p.317. Retrieved 12 May,2018. from: http://www.economists.nl/files/20070906GrootOosterbeekREStat1994.pdf

19. Habibov, N. (2015) On Individual, Household, and Community Factors Explaining Enrollment to Early Childhood Education and Care Post-Soviet Transitional Countries. *Cbild Indicators Research, 8*(4),pp.825-843.
20. Machin, S., McNally, S. (2007). Tertiary Education Systems and Labour Markets. Retrieved 17 May, 2018, from: http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download;jsessionid=7AC4A8328C747917F4BC85735C3A5463?doi=10.1.1.169.998&rep=rep1&type=pdf
21. Putnam, R. (1993). Making Democracy Work. Civic Traditions in Modern Italy. Princeton: Princeton University Press.
22. Sadzaglishvili, S., Scharf, S., Kalandadze, T. (2017). Descriptive Study of Roofless People in the Post Soviet Georgia. *Journal of Sociological Reaserch, (9)*1,15-31.
23. Spence, M. (1973). Job Market Signaling. *Quarterly Journal of Economics.* Retrieved 17 May, 2018,from:https://www2.bc.edu/thomaschemmanur/phdfincorp/MF891%20papers/Spence%201973.pdf
24. Sursock, A., Smidt, H. (2010). Trends 2010: A decade of change in European Higher Eucation. Retrieved 29 May, 2018, from: http://www.eua.be/Libraries/higher-education/trends2010.pdf?sfvrsn=0

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ketevan Mchedlishvili

Motivation of Getting Higher Education in Georgia

Sociology

The Master's thesis was written for obtaining Master's degree in sociology

Advisor: Nino Durglishvili

Scientific degree: Phd, Professor of philosophy

Dignity: associate professor

Tbilisi,2018